პრესრელიზი*

არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) განცხადება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

4 ოქტომბერი, 2021 წელი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საქართველო

4 ოქტომბერი, 2021 წელი - არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების ევროპული ქსელი (ENEMO) – ,,2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც, კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გარანტიას. კამპანია გამოირჩეოდა მაღალი პოლარიზაციით ქვეყანაში ზოგადი მაღალი პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე, დომინირებდა საერთო ეროვნული პოლიტიკური თემები, რაც ზიანს აყენებდა ადგილობრივი პრობლემების, მოქალაქეებისა და მათი თემის საჭიროებების შესახებ დისკუსიასა და წინადადებების წამოჭრას. ამომრჩევლებსა და კანდიდატებზე ზეწოლისა და დაშინების ბრალდებებმა ზიანი მიაყენა კამპანიას. არჩევნები ჩატარდა ეფექტიანად და გამჭვირვალედ. უბნებზე ატმოსფერო უმეტესად მშვიდი იყო, თუმცა ENEMO-ს დამკვირვებლებმა აღნიშნეს, განსაკუთრებით სოფლებში, პარტიული აქტივობები უბნებზე, რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ამომრჩევლებზე“. - განაცხადა დრიტან ტაულამ, საქართველოში 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითთმართველობის ENEMO-ს მისიის ხელმძღვანელმა.

,,2021 წლის ივნისის ცვლილებები, რომლებიც მოჰყვა 19 აპრილის შეთანხმებას, ზოგადად, პოზიტიური იყო და ითვალისწინებდა საეთაშორისო და ადგილობრივი აქტორების მანამდელ რეკომენდაციებს. თუმცა, შესაძლებელია სამართლებრივი ჩარჩოს კვლავ გაუმჯობესება ყოვლისმომცველი რეფორმით. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი ჩარჩოს ცვლილება არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე არაა რეკომენდებული პრაქტიკა, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ცვლილებები არსებითი ხასიათისაა, ვინაიდან ეს პრაქტიკა ნეგატიურად მოქმედებს სამართლის სტაბილურობაზე და, ამავე დროს, დამატებით ტვირთს აკისრებს არჩევნების მართვის ორგანოებს“. - თქვა კრისტინა კებეშმა, მისიის იურიდიულმა ანალიტიკოსმა.

როგორც სტანისლავ ჟოლუდიევი, ENEMO-ს საარჩევნო ანალიტიკოსი/ცესკოს დამკვირვებელი, აცხადებს, ,,ცესკომ დაიცვა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ყველა სამართლებრივი ვადა, არჩევნები მართა ეფექტიანად და დანერგა საპილოტე პროგრამები მომავალ არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, მიუხედავად ახლად შეტანილი ცვლილებებისა და კოვიდ-19 პანდემიისა. ცესკო რეგულარულად ატარებდა შეხვედრებს, რომლებიც ღია იყო არჩევნების მონაწილეებისათვის და, ასევე, პირდაპირ ეთერში გადასცემდა შეხვედრებს, რამაც გააუმჯობესა გამჭვირვალობა“.

მომჩილო რადულოვიჩმა, პოლიტიკურმა/საარჩევნო კამპანიის ანალიტიკოსმა განაცხადა, რომ ,,კამპანია გამოირჩეოდა მაღალი პოლარიზაციით, ქვეყანაში ზოგადი მაღალი პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე. დომინირებდა საერთო ეროვნული პოლიტიკური თემები, რაც ზიანს აყენებდა ადგილობრივი პრობლემების, მოქალაქეებისა და მათი თემის საჭიროებების შესახებ დისკუსიასა და წინადადებების წამოჭრას. თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ მმართველი პარტიის კამპანიაში განცხადებებით ან სხვაგვარად, რამაც რესურსების უთანასწორობასა და სახელმწიფო ხარჯებით დაფინანსებული ეროვნული თუ ადგილობრივი პროექტების პრეზენტაციებთან ერთად შექმნა უთანასწორო პირობები, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა მმართველი პარტია და ბუნდოვანი გახადა ხაზი სახელმწიფოსა და პარტიას შორის“.

,,არჩევნები გონივრულად კარგად ჩატარდა საუბნო დონეზე კოვიდ-19 პანდემიის გამოწვევებისა და ახლად განხორციელებული ცვლილებების ფონზე. არჩევნების დღე შეუფერხებლად და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა. პროცედურები ძირითადად დაცული იყო, თუმცა, იყო ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევები. საუბნო კომისიებში ატმოსფერო ძირითადად მშვიდი იყო. თუმცა ENEMO-ს დამკვირვებლებმა, განსაკუთრებით სოფლებში, შენიშნეს პარტიული აქტივობები უბნებზე, რასაც, შესაძლოა, გავლენა მოეხდინა ამომრჩევლებზე“ - განაცხადა პიტერ ნოვოტნიმ, საარჩევნო ანალიტიკოსმა/ცესკოს დამკვირვებელმა.

„საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მხარდაჭერის“ პროექტი ხორციელდება 2021 წლის 8 სექტემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე სლოვაკეთის რესპუბლიკის განვითარების ოფიციალური დახმარების ფარგლებში. ამ დოკუმენტის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ENEMO-ს პასუხისმგებლობას და, შესაძლოა, არ ასახავდეს დონორის პოზიციას.

*წინამდებარე დოკუმენტი არის არაოფიციალური თარგმანი. მხოლოდ ამ დოკუმენტის ინგლისური დედანია ოფიციალური ვერსია.